



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



500/4-1/21 2 25012021



500/4-1/21
25-01-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია ანგარიშით გათვალისწინებული თვითოვეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიიღწა დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას. კერძოდ:

უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მიწაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია ქალებისათვის. შედეგად მათ შეზღუდული აქვთ კრედიტზე ხელმისაწვდომობა. მიწის ფონდის მართვისა და რეგისტრაციის საკითხი საქართველოში ზოგადად ძალიან პრობლემურია, თუმცა მოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჭიროა გამოინახოს გზები, რომელთა საშუალებითაც ქალებს მიწაზე მეტ ხელმისაწვდომობას მივცემთ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად:

1. შემუშავდა თუ არა მექანიზმი, რომელიც სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში (რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას) მონაწილე ქალებს შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე;

მოკვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ არაეფექტურია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (მაგ. სამაცივრე, სასაწყობე, საშრობი მეურნეობები) იქმნებოდეს მხოლოდ

საგრანტო პროექტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, სოფელსა თუ რეგიონში არსებული ფერმერების ბედი მინდობილია კერძო პირის ინიციატივაზე, გააკეთოს მსგავსი სამაცივრე მეურნეობა. ცხადია, შეუძლებელია იმის გათვლა, გამოჩენდება თუ არა მსგავსი პროექტის განხორციელების მსურველი პოტენციურ ბენეფიციარებს შორის. მოცემული გარემოების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად:

2. უზრუნველყოფილი იქნა თუ არა რეგიონების მიხედვით აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, იმისათვის რომ ეს საკითხი მინდობილი არ იყოს ფერმერთა ინდივიდუალურ ინიციატივას;

როგორც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, ისე სოფლის განვითარების სააგენტოს შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობისაა გენდერულად დაყოფილი მონაცემების შეგროვება პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე: განაცხადების მიღება, დაფინანსება თუ პროექტების შედეგების მონიტორინგი/შეფასება. მსგავსი სახის ინფორმაცია შესაძლებლობას მისცემს სააგენტოებს დაინახონ რა უკეთ მუშაობს ქალებისთვის და რა - არა. შესაბამისად ისინი შეძლებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროგრამირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

3. დაიწყო თუ არა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტის შესახებ, კერძოდ, პროექტის მიხედვით იწარმოება თუ არა სტატისტიკა შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში. ამასთან, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია ზემოაღნიშნული მახასიათებლებით 2020 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ;

4. ხორციელდება თუ არა დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ხდება თუ არა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დაყოფილი მონაცემების წარმოება;

როგორც მოკვლევის შედეგები აჩვენებს, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამარტივდეს პროგრამაში განაცხადის წარდგენის პროცედურები. ელექტრონულად წარმოებული აპლიკაციის პროცესი ბევრი ქალისთვის დამატებითი დაბრკოლებაა, ამასთანავე, საოჯახო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ქალების მობილობა (განსაკუთრებით სოფლად) შეზღუდულია. შესაბამისად, აპლიკაციის პროცესთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:

5. განაცხადის ელექტრონულად გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში;
6. განაცხადის არაელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში აპლიკაციის პროცესის მაქსიმალურად გამარტივივების მიზნით: შესაძლებელია თუ არა განაცხადის ჩაბარება რეგიონულ ოფისებში. შესაძლებლობის ფარგლებში შემცირდა თუ არა თბილისში საჭირო ვიზიტების რაოდენობა;
7. შემუშავდა თუ არა სპეციალური სერვისი, რომელიც აპლიკანტებს საკურიერო მომსახურებას გაუწევს: კვირაში ან 2 კვირაში ერთხელ გააგზავნის ნიმუშებს რეგიონიდან თბილისში და თბილისიდან გამოაგზავნის სხვადასხვა უწყების მიერ გაცემულ ცნობებს;

8. სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში ჩართულმა ლაბორატორიებმა ეტაპობრივად დაიწყეს თუ არა მიღებული ნიმუშის შესახებ ცნობების ელექტრონულ რეჟიმში გაცემა, რომელიც პირდაპირ გაეგზავნება აპლიკანტს და არა სააგენტოს; მოკვლევის ფარგლებში გამოჩენდა, რომ თავად ქალების ჯგუფში არსებობენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები: კერძოდ, დევნილი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:
 9. პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია თუ არ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;
 10. კოოპერატივებისთვის დაფინანსების მიღების წინაპირობად, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიქსირდება თუ არა კოოპერატივის მეპაიეთა შორის დევნილთა გარკვეული მინიმალური რაოდენობა;
 11. რა ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების ბენეფიციარების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით, მიიღონ დამატებითი დაფინანსება აპას-ს პროექტებიდან;
- მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ინფორმაციის გავრცელება პროგრამების შესახებ და პოტენციური აპლიკანტების მოტივირება, ჩართონ მათში. აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:
12. მოხდა თუ არა რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის მაქსიმალური გამოყენება ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების არხებად;
 13. რა ტიპის ღონისძიებები გატარდა და გაიზარდა თუ არა პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;
 14. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს განხილულ იქნა თუ არა ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენა, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);
 15. შეიქმნა თუ არა წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდა თუ არა მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;
 16. სააგენტომ, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავა თუ არა როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და წახალისების მექანიზმები; როგორც შედეგების ანალიზის დროს გამოჩენდა, პროგრამის ბენეფიციარ ქალებს განსაკუთრებით უჭირთ ბანკიდან სესხის აღება. ისეთ პირობებში, როდესაც განვითარების ბანკის შეიქმნა შორეული პერსპექტივაა, მნიშვნელოვანია შესაძლებლობის ფარგლებში შეღავათიანი პირობები შეიქმნას ქალებისათვის სესხის ასაღებად. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად:
 17. სოფლის განვითარების სააგენტომ განიხილა თუ არა საკრედიტო-საგარანტიო სქემის (აწარმოე საქართველოში გამოცდილების მიხედვით) შემოღება ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დაკამაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები;
 18. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდა თუ არა მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება);

19. სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში, რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას, ქალების შემთხვევაში საკმარისია თუ არა მეუღლის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესახებ ცნობა;

მოკვლევაში ჩართული სააგენტოების პროგრამების ბენეფიციარებისათვის აუცილებელ საჭიროებად გამოიკვეთა დაფინანსების მიღების შემდგომ მუდმივი კონსულტაციისა და სწავლების აუცილებლობა ბიზნესის წარმოების სხვადასხვა მიმართულებით. მოცემული საკითხის გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად:

20. სააგენტოების მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატა თუ არა აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება: პოტენციური აპლიკანტებისათვის ბანკის კრედიტოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა); დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.);

მოკვლევის ფარგლებში გამართული მოსმენების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების მხრიდან მრავალგზის გაუღერებული იდეა ქალებისათვის ცალკე საგრანტო პროექტის შემუშავების შესახებ. ამ უკანასკნელის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე სააგენტომ გამოყოს ცალკე ბიუჯეტი ქალებზე გამიზნული პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამა თავდაპირველად შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პილოტური ინიციატივა, ხოლო მისი შედეგების შეფასების შემდეგ კი გადაწყდეს მისი სამომავლო განვითარების საკითხი. მსგავსი მიდგომა შეიძლება კვოტების სისტემის კარგ ალტერნატივად მივიჩნიოთ, რადგან ქალებს აღარ მოუწევთ კაც აპლიკანტებთან კონკურენცია და, ამასთანავე, მხოლოდ მათთვის შემუშავებული პროექტი მეტი მოტივაციის მიმცემი შეიძლება გახდეს. აღნიშნულ პროგრამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები მონაწილეობის ბარიერების შესამცირებლად: (1) იყოს საგრანტო ხასიათის და სთავაზობდეს თანადაფინანსების შედარებით მაღალ წილს; (2) განხორციელდეს ისეთ დარგებში, რომლებშიც აუცილებელი არ იქნება მიწის ნაკვეთის ფლობა (მაგ., მეცხოველეობა, მეფრინველეობა). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

21. სააგენტომ შეიმუშავ თუ არა საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

დანართი: „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 66 (სამოცდაექვსი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილისანი



ს ა ქ ა რ ი მ ე ნ ტ მ

GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის ეკონომიკური
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1550/01

19/02/2021

1550-01-2-202102191757



საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 25 იანვრის N500/4-1/21 წერილის პასუხად, „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ თემატური მოკვლევის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით, გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სააგენტოს მიერ შესრულებული საქმიანობების თაობაზე:

1. შემუშავდა თუ არა მექანიზმი, რომელიც სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში (რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას) მონაწილე ქალებს შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე:

აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაწყებულია - ვინაიდან სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აღნიშნული საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა სცილდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას. თუმცა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოსა (RDA) და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უახლოეს პერიოდში სააგენტოს დაემატება გენდერულ საკითხებსა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით მრჩეველი, რომლის ჩართულობით იგეგმება ამ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა უფლებამოსილ უწყებებთან ერთად.

2. უზრუნველყოფილი იქნა თუ არა რეგიონების მიხედვით აუცილებელი სასოფლო - სამეურნეო ინფრასტრუქტურა, იმისათვის რომ ეს საკითხი მინდობილი არ იყოს ფერმერთა ინდივიდუალურ ინიციატივას:

2014 წლიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებითა და სააგენტოს ხელშეწყობით, მიმდინარეობს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტებს. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის შექმნა დაშვებულია მხოლოდ თანადაფინანსების პრინციპით. პროექტის ფარგლებში შექმნილია არაერთი მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურა.

3. დაიწყო თუ არა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტის შესახებ, კერძოდ, პროექტის მიხედვით იწარმოება თუ არა სტატისტიკა შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში. ამასთან, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია ზემოაღნიშნული მახასიათებლებით 2020 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო მუდმივად აანალიზებს მიმდინარე პროექტებს/პროგრამებს და აქტიურად მუშაობს გამოვლენილი საჭიროების გათვალისწინებით დამატებითი ფინანსების მოძიებაზე და ეძებს შესაძლებლობას შექმნას პროექტებისა და პროგრამების ბენეფიციართათვის განსაკუთრებული პირობები.

2020 წელს სააგენტომ დაიწყო გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება განხორციელებული პროექტების შესახებ (დაფინანსებული ბენეფიციარების შესახებ). ამასთან, სააგენტომ 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყო ცხელი ხაზის მომართვიანობის აღრიცხვაც სქესობრივ ჭრილში.

არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას გიგზავნით ცხრილის სახით.

4. ხორციელდება თუ არა დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ხდება თუ არა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დაყოფილი მონაცემების წარმოება:

სააგენტოში განხორციელდა მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზაცია, რის შემდეგაც აღნიშნულმა სტრუქტურამ განაახლა ფუნქციონირება და ერთ-ერთი მიმართულება არის პროექტების მონიტორინგი და შეფასება. მონაცემების წარმოება ძირითად შემთხვევებში შესაძლებელია ელექტრონული აპლიკაციის წარმოდგენის საწყის ეტაპზევე.

5. განაცხადის ელექტრონულად გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში:

მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ უფასო კონსულტაციები, როგორც სააგენტოს რეგიონული სამსახურის, ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ოფისებში. სამსახურების და ცენტრების თანამშრომლები ბენეფიციარებს უწევენ სხვადასხვა ტექნიკურ მხარდაჭერას, ეხმარებიან სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ პროექტებზე ონლაინ განაცხადების შევსებაში, ბიზნეს გეგმის დაწერაში, ელ. ფოსტის შექმნაში და სხვა.

6. განაცხადის არაელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში აპლიკაციის პროცესის მაქსიმალურად გამარტივების მიზნით შესაძლებელია თუ არა განაცხადის

ჩაბარება რეგიონულ ოფისებში. შესაძლებლობის ფარგლებში შემცირდა თუ არა თბილისში საჭირო ვიზიტების რაოდენობა:

რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები ჩართულები არიან საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რაც უზრუნველყოფს სამსახურებს, ცენტრებსა და სააგენტოს ცენტრალურ ოფისს შორის დოკუმენტ-ბრუნვის პროცესის სწრაფ და შეუფერხებელ მუშაობას. აღნიშნულის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ადგილზე შეავსონ აპლიკაციები, წარადგინონ დამატებითი დოკუმენტაციები, მიიღონ კონსულტაციები.

7. შემუშავდა თუ არა სპეციალური სერვისი, რომელიც აპლიკანტებს საკურიერო მომსახურებას გაუწევს: კვირაში ან 2 კვირაში ერთხელ გააგზავნის ნიმუშებს რეგიონიდან თბილისში და თბილისიდან გამოაგზავნის სხვადასხვა უწყების მიერ გაცემულ ცნობებს:

საკურიერო მომსახურების აუცილებლობა არ არსებობს, რადგან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ყველა რეგიონში, სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ოფისებში შეავსონ აპლიკაციები, წარადგინონ დამატებითი დოკუმენტაციები, მიიღონ კონსულტაციები.

8. სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში ჩართულმა ლაბორატორიებმა ეტაპობრივად დაიწყეს თუ არა მიღებული ნიმუშის შესახებ ცნობების ელექტრონულ რეჟიმში გაცემა, რომელიც პირდაპირ გაეგზავნება აპლიკანტს და არა სააგენტოს:

მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული მომსახურების მიღება. ეს დამოკიდებულია ბენეფიციარის სურვილზე.

9. პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, თუ არა ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში:

სააგენტოს რეგიონული სამსახურების შესაბამის მუნიციპალიტეტებში, სადაც წარმოდგენილია ეთნიკური უმცირესობები, სააგენტოს ჰყავს შესაბამისი ენის მცოდნე თანამშრომლები, რომლებიც მოსახლეობას კონსულტაციებს უწევენ და ინფორმაციას აწვდიან მათთვის სასურველ ენაზე.

10. კოოპერატივებისთვის დაფინანსების მიღების წინაპირობად, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიქსირდება თუ არა კოოპერატივის მეპაიეთა შორის დევნილთა გარკვეული მინიმალური რაოდენობა:

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის N326 დადგენილების M-5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულია მეპაიე ქალთა და დევნილთა სავალდებულო პროცენტული მაჩვენებელი კოოპერატივის საერთო მეპაიეთა შორის.

11. რა ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების ბენეფიციარების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით, მიიღონ დამატებითი დაფინანსება RDA-ს პროექტებიდან:

სააგენტო მუდმივად აანალიზებს მიმდინარე პროექტებს/პროგრამებს და აქტიურად მუშაობს გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით დამატებითი

ფინანსების მოძიებაზე. ამასთან, შესაძლებლობების ფარგლებში ხორციელდება სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსების ოდენობის ცვლილების საკითხების განხილვაც.

12. მოხდა თუ არა რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის მაქსიმალური გამოყენება ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების არხებად:

სააგენტოს რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხდება ერთობლივი აგროტურების და მინდვრის დღეების დაგეგმვა. უზრუნველყოფენ სამსახურების თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მოდულური ტრენინგების, სემინარების ჩატარებას და ექსტენციის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის ინვენტარით აღჭურვას. თავის მხრივ თანამშრომლები კი, უზრუნველყოფენ დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პროექტებში ბენეფიციარების ჩართულობას. მათივე ინიციატივითა და ორგანიზებით მოხდა რამდენიმე თემში „ტასო“ ფონდის შეყვანა, ასევე „ფერმერთა ასოციაციის“ მხარდაჭერით „მეწარმე ქალთა ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელება.

13. რა ტიპის ღონისძიებები გატარდა და გაიზარდა თუ არა პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში:

სააგენტოს მიერ პრეზენტაციების და საინფორმაციო შეხვედრების სახით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მერებს, რწმუნებულებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე პროგრამების/პროექტების შესახებ. მათი ჩართულობით ხდება მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება ადმინისტრაციულ ერთეულებში. შეხვედრების დროს მოსახლეობაში ვრცელდება გაზეთები, საინფორმაციო ბროშურები და ასევე, ინფორმაციის გავრცელება ხდება SMS შეტყობინების საშუალებით.

14. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს განხილულ იქნა თუ არა ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენა, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაზები, სკოლები და ა.შ.):

სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი აქტიურად აშუქებს ქალ ფერმერებს, ბენეფიციარები მართალია არ იყოფა ქალებად და კაცებად, თუმცა ხელსაყრელი მომენტიდან გამომდინარე, სააგენტო ცდილობს ქალი ფერმერების მეტად წარმოჩინებას. ამას მოწმობს თუნდაც გადაღებული წარმატების ისტორიები: 1) shorturl.at/yDV09; 2) shorturl.at/aRXY7; 3) shorturl.at/tuCPW; 4) shorturl.at/loDHQ.

უკვე მე-4 წელია აქტიურად მიმდინარეობს და 2020 წელსაც ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალ ბენეფიციართა ჩართულობას და ქალი მეწარმეების პოპულარიზებას სოციალურ ქსელების, ადგილობრივი გაზეთების, მედიის (ტელევიზია - კვირის პალიტრა ჟურნალი) საშუალებით. კვლავ გრძელდება აგრო-ფესტივალებზე მათი მოწვევა და წახალისება (სიგელების გადაცემა).

15. შეიქმნა თუ არა წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდა თუ არა მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში:

სააგენტო აწარმოებს წარმატებული ფერმერების მონაცემთა ბაზას. ეს ფერმერები ჩართულები არიან საინფორმაციო შეხვედრებში სოფლის მოსახლეობასთან, როგორც წარმატების მაგალითები. დამატებით სააგენტო უზრუნველყოფს ამ ფერმერების გადამზადებას და ჩართვას ტრენინგ კურსებში, რათა შემდგომ წარმატებულმა ფერმერებმა თავად უზრუნველყონ მიღებული ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება სხვა ფერმერებისთვის.

16. სააგენტომ საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავა თუ არა როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და წახალისების მექანიზმები:

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლების გადამზადება შესაბამისი (საჭირო უნარ-ჩვევები) მიმართულებით. TOT (ტრენერთა ტრენინგი) საფუძველზე, რამდენიმე მუნიციპალიტეტში დასაქმებულები არიან უკვე სერტიფიცირებული თანამშრომლები, რომლებსაც შეუძლიათ თავად ჩაუტარონ ტრენინგი ფერმერებს.

17. სოფლის განვითარების სააგენტომ განიხილა თუ არა საკრედიტო-საგარანტიო სქემის (აწარმოე საქართველოში გამოცდილების მიხედვით) შემოღება ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულია და სააგენტოს მიერ ხორციელდება „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც არსებობს მეორადი უზრუნველყოფის გარანტია.

18. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდა თუ არა მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება):

სააგენტო მუდმივად ეძებს შესაძლებლობას შექმნას პროექტებისა და პროგრამების ბენეფიციართათვის განსაკუთრებული პირობები. სააგენტო პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან ერთად ცდილობს გაზარდოს პროგრამების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის. გენდერის საკითხებში მრჩევლის დახმარებით სააგენტო განიხილავს წამახალისებელი მექანიზმებს.

19. სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში, რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას, ქალების შემთხვევაში საკმარისია თუ არა მეუღლის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესახებ ცნობა:

აღნიშნული პირობის გაჩენა ვერ უზრუნველყოფს ქალთა ჩართულობის ზრდას, ვინაიდან მესაკუთრის თანხმობა მაინც საჭიროა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა გახდება სავალდებულო (სამოქალაქო ქორწინებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მინდობილობა მესაკუთრისგან ქონების განკარგვაზე და სხვ.) ამასთან, სსიპ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია მარტივად შესაძლებელია და სააგენტო არ ზღუდავს, თუ ვინ წარმოადგენს პროგრამაში განაცხადს. მიწის ფლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურად სხვადასხვა უწყებების ჩართულობას.

20. სააგენტოების მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატა თუ არა აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება - პოტენციური აპლიკანტებისათვის ბანკის კრედიტოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა); დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.):

სააგენტოს თანამშრომლები კომპეტენციის ფარგლებში ატარებენ, როგორც დარგობრივ ტრეინინგებს, ასევე მხარს უჭერენ ბენეფიციარებს პროექტის/ბიზნეს გეგმის მომზადების საკითხებში, ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში კი, ხორციელდება ბრენდირების, ეტიკეტირების, სერტიფიცირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და თანადაფინანსებით მხარდაჭერა.

2020 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე სააგენტოს თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რეგიონის 1178 სოფელში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა - მთიანეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი) საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაუტარდა 3469 მოსახლეს.

21. სააგენტომ შეიმუშავა თუ არა საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით:

აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. სააგენტო გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) გაფორმებული მემორანდუმის სამოქმედო გეგმაში განიხილავს ქალებისათვის განკუთვნილი საპროექტო წინადადების მომზადების და განხორციელების შესაძლებლობას.

დანართი: Excel-ის ფაილი.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მთადგილე



ა(ა)ი3 „სოფლის განვითარების სააგენტო“

| # | პროექტის/პროგრამის დასახელება | ხელშეკრულებების რაოდენ სესხების რაოდენობა/სადა გაცემული პოლის |
|---|---|---|
| | | მამრობითი |
| 1 | შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი | 5,659 |
| 2 | სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ | 713 |
| 3 | „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამა | 93 |
| 4 | სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - "ახალგაზრდა მეწარმე" | 18 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა | 43 |
| 6 | აგროდაზღვევის პროგრამა | 14,462 |
| 7 | აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა | 280 |
| 8 | სოფლის განვითარების პროგრამა (UNDP) | 3 |
| 9 | მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA) | 197 |

შენიშვნა: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის შემთხვევაში ცხრილში თანადაფინანსები თანადაფინანსება.

“(პროექტების/პროგრამების 2020 წლის სტატისტიკა გენდერულ ჭრილში 2)

| ობა/ბანკის მიერ გაცემული ზღვევო კომპანიების მიერ ების რაოდენობა | უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა | თანადაფინანსება (ლარი) | | |
|---|---------------------------------------|------------------------|------------|------------|
| მდედრობითი | მამრობითი | მდედრობითი | მამრობითი | მდედრობითი |
| 848 | 5,073 | 788 | | |
| 218 | 676 | 219 | 14,162,675 | 5,121,650 |
| 15 | 93 | 15 | 1,496,909 | 306,647 |
| 21 | 18 | 21 | 799,867 | 910,965 |
| 7 | 42 | 7 | 1,693,397 | 354,104 |
| 3,254 | 7,114 | 1,942 | 6,570,409 | 1,532,733 |
| 55 | 274 | 54 | 6,542,600 | 1,588,574 |
| 2 | 3 | 2 | 446,080 | 34,705 |
| 26 | 196 | 26 | 12,545,899 | 1,505,240 |

ბის სვეტში მოცემულია სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსება, ხოლო დანარჩენი პროექტე

120 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

| ინვესტიციის ჯამური მოცულობა/ბანკის მიერ გაცემული სესხის ოდენობა/დაზღვეული მოსავლის ღირებულება (ლარი) | | ფართობი (ჰა) | |
|--|------------|--------------|------------|
| მამრობითი | მდედრობითი | მამრობითი | მდედრობითი |
| 209,130,562 | 39,398,968 | - | - |
| 21,117,388 | 7,595,856 | 1,284 | 424 |
| 3,744,433 | 766,618 | - | - |
| 2,152,772 | 2,372,871 | - | - |
| 3,928,516 | 874,043 | - | - |
| 126,585,567 | 29,341,119 | 13,943 | 3,454 |
| 12,911,121 | 4,105,069 | - | - |
| 570,054 | 39,536 | - | - |
| 17,620,020 | 1,941,089 | - | - |

ბის/პროგრამების შემთხვევაში მოცემულია ხელშეკრულებით განსაზღვრული

